სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080135539283223

№ 741 06 / მარტი / 2023 წ.

შპს „პალადას“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 6 და 7 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) 2023 წლის 6 თებერვლის №0602/2023-01 და №0602/2023-02 (რეგისტრაციის №1097 და №1154), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2023 წლის 27 თებერვალსა და 6 მარტს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2023 წლის 27 თებერვლისა და 6 მარტის №2702/2023-01 და № 0603/2023-01 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 1836 და № 2044), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2023 წლის 20 თებერვლის № 688 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2023 წლის 10 მარტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) 2023 წლის 11 მარტიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე